ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიდევ ერთი ახალი ბაზა





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 94 (4088)

1970 წ. 16 მაისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ამრავლოს!..

თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის დასახლების მკვიდრთ 9 მაისს ორმაგი ზეიმი ჰქონდათ — ერთად აღნიშნავდნენ ფაშისტურ გერმანიასთან ომში გამარჯვების 25 წლისთავს და ახალი სპორტული კომპლექსის გახსნას. კარგი საქმე გააკეთეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველომ და ლენინის რაიაღმასკომმა, რომლებმაც აქ მცხოვრები ათასობით მუშა-მოსამსახურისა და მათი ოჯახის წევრების ფიზიკური წრთობისთვის, მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისთვის თითქმის ორ წელიწადში შესანიშნავი სპორტული ცენტრი ააგეს.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს ლიფტების სპეციალიზებული მეურნეობის მუშაკებმა უბნის უფროსის გ. მაისურაძისა და უფროსი ინჟინრის ა. კანკავას ხელმძღვანელობით ბუნებრივ ტაფობში ააგეს სტადიონი, რომელსაც აქვს ფეხბურთის მინდორი, სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები, ტრიბუნები 4 ათასამდე მაყურებლისთვის და სათავსოები. აქვეა ჩოგბურთის მოედანიც 600 მაყურებლისთვის...

ტრიბუნები შეკრებილ მაყურებლებს ვერ იტევდა: „თემქის" მასივის ყველა მცხოვრებს სურდა მონაწილეობა მიეღო ზეიმში.

...სარბენ ბილიკებზე მწყობრი ნაბიჯით შემოვიდნენ სპორტსმენთა კოლონები. მასივის მცხოვრებლებს, სტუმრებს, სპორტსმენებს კომპლექსური სპორტული ბაზის საზეიმო გახსნა მიულოცეს ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. სარიშვილმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსმა ვ. ჩომახიძემ, მშენებლობის უბნის უფროსმა გ. მაისურაძემ, კომკავშირის ლენინის რაიკომის მდივანმა მ. გელეიშვილმა, მშრომელთა კომიტეტის წარმომადგენელმა ო. გვეტაძემ, № 6 საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოს პარტბიუროს მდივანმა ა. ლეკვეიშვილმა.

ახალი კომპლექსის მშენებლობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მშენებლებმა და მემონტაჟეებმა ნ. ლომსაძემ, ი. რატიანმა, გ. იაშალაშვილმა, გ. მჭედლიშვილმა, შ. ქურდაძემ... ბაზის ტერიტორიის გამშვენიერებისთვის დაირგა 5000-ზე მეტი ხე და ბუჩქი.

დაიწყო სპორტული ზეიმი, გაიმართა ნორჩ ფეხბურთელთა მატჩი, საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელთა საჩვენებელი გამოსვლები. ფეხბურთის მინდორზე სახელდახელოდ მოწყობილ სარბიელზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქართული ჭიდაობის ოსტატები და ახალბედები. ზეიმი დიდხანს გაგრძელდა.

მომავალში ბაზა უფრო გაფართოვდება: აიგება სხვადასხვა ზომის 3 საცურაო აუზი, მოეწყობა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

ამრავლოს!..

**დოდო გელაშვილი.**

* * *

სურათებზე: სტადიონის საერთო ხედი; წამიც, და მეტოქე ზურგით შეეხება ხალიჩას; ნორჩ ფეხბურთელთა მატჩის მომენტი; მძლეოსნები ფინიშთან.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## 121:56

კარლოვაცი, 14 მაისი. კალათბურთელ ვაჟთა VI მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი ტურნირის ბოლო მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა გუშინ აქ სარეკორდო ანგარიშით (121:56) დაამარცხა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის გუნდი. ურუგვაელებმა სძლიეს პანამელებს — 79:77.

დანარჩენ ქვეჯგუფებში გამართული მატჩები ასე დამთავრდა: სპლიტი. იტალია — სამხრეთ კორეა 77:66, ბრაზილია—კანადა 112:59; სარაევო. აშშ—ჩეხოსლოვაკია 99:86, კუბა—ავსტრალია 72:53.

ამრიგად, ოქროს მედლებისთვის ბრძოლას ტივოლის სპორტის სასახლეში (ლიუბლიანა) განაგრძობენ სსრ კავშირის, აშშ-ს, ჩეხოსლოვაკიის, ბრაზილიის, იტალიის, ურუგვაისა და იუგოსლავიის გუნდები.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაუჩინარებული მშენებლები

„განთიადის" ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შარშან ფართოდ გაშალეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული, გამაჯანსაღებელი საქმიანობის დონის ამაღლებაში. იმატა ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვმა, გაიზარდა საზოგადოების წევრთა და ფიზკულტურელთა რაოდენობა, გაფართოვდა სპორტნაგებობათა ქსელი. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების დროულად და გადაჭარბებით შესრულებას.

პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით ბევრმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" (დირექტორი მ. ბაბუნაშვილი) მუშა-მოსამსახურეთა 80 პროცენტი საზოგადოება „განთიადის" წევრია, მათი უმრავლესობა კი სპორტის სხვადასხვა სექციაში რეგულარულად მეცადინეობს. კეთილმოეწყო სტადიონი საუკეთესო მინდვრით, გაკეთდა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, გასახდელები, შხაპები... შარშან კომბინატის ფიზკულტურის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების წლიური გეგმა და თვითვალდებულება. ქარხნის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს წლეულს სპორტული კლუბის დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები შეასრულოს და ეს საპატიო სახელი მოიპოვოს.

ნაყოფიერად იმუშავა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის (დირექტორი ი. ხვედელიანი) სპორტკლუბმა „განთიადმა" (თავმჯდომარე გ. კოჭლავაშვილი), რომელიც კარგა ხანია მოწინავე კოლექტივად ითვლება მარტო თბილისში და რესპუბლიკაში კი არა, მთელს საბჭოთა კავშირშიც.

პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით წლეულს ქარხნის ტერიტორიაზე მალე დამთავრდება თანამედროვე ტიპის ოთხდარბაზიანი სპორტული კორპუსი, აიგება 50-მეტრიანი საცურაო აუზი გათბობით.

შორს გაითქვა სახელი ამავე ქარხნის ტანვარჯიშის ბავშვთა სპორტულმა სპეციალიზებულმა სკოლამ (მწვრთნელები ს. ბურჯანაძე და ვ. კლიმოვა). ამ სკოლის აღსაზრდელი, 13 წლის ნ. დრონოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდშია ჩარიცხული, ხოლო ლ. ლაპისტოვა, ე. ბოგოლიუბოვა, გ. ჯღარკავა, ნ. სმაგინა და ლ. კურგანსკაია საკავშირო პროფკავშირთა ნაკრები გუნდის წევრები არიან.

კარგი მაჩვენებლები აქვთ ქარხნის ახალგაზრდულ ფეხბურთელთა სკოლას (ხელმძღვანელი ვ. რამიშვილი), მოჭიდავეთა გუნდს, მოჭადრაკეებს, მაგიდის ჩოგბურთელებს, ტურისტებს...

ასევე კარგად შრომობენ თბილისის ქარხანა „მაგნიტოფონის" (დირექტორი გ. კაკაბაძე), თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის" (გ. ჯანაშია), ქუთაისის აბრეშუმკომბინატის (ო. ბალანჩივაძე), ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის (ს. დოლიძე), ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის (ზ. ჩხეიძე), თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკის (მ. ავალიანი), ცხაკაიას ხალიჩების საქსოვი კომბინატის (რ. კუპრავა) და სხვა საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივები. პრაქტიკამ ცხადყო, რომ იქ, სადაც ხელმძღვანელები დაინტერესებული არიან მუშა-მოსამსახურეთა შორის მასობრივი ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლით, საქმეც კარგადაა. მაგრამ ყველგან ასე როდია. ზაჰესის ქარხანა „საქმთავარენერგოში" (ყოფილი ელექტრომექანიკური ქარხანა) თანამშრომელთა 90 პროცენტს ახალგაზრდობა შეადგენს. მას უყვარს სპორტი, მაგრამ ვინაიდან ქარხნის დირექტორს ა. ხუციშვილს ეს საქმე ნაკლებად აინტერესებს, საწარმოში არც პირობებია შექმნილი. ქარხანაში არც ერთი სპორტული სექცია არ მუშაობს, არ ტარდება შეჯიბრებები, არ მზადდება ნიშნოსნები და თანრიგოსნები, საწარმოო ტანვარჯიში ჩაშლილია... ამ მდგომარეობას გულდამშვიდებით შესცქერიან ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის თავს არც მცხეთის რაიონის ფიზკულტურის ხელმძღვანელები იწუხებენ.

ასეთივე მდგომარეობაა თბილისის სატელეფონო ტექნიკის საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ბიუროში (დირექტორი ბ. ნიჟარაძე). წინა წლებში ამ ორგანიზაციის სპორტსმენები და გუნდები სისტემატურად მონაწილეობდნენ ცენტრალური საბჭოს პირველობებში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნიჟარაძემ ფიზკულტურული მუშაკის საშტატო ერთეული გააუქმა (მას ამის უფლება არ ჰქონდა), აღარც სექციური მუშაობა ტარდება, აღარც შეჯიბრებები. მშრომელთა გამაჯანსაღებელი მუშაობა ჩაკვდა.

თითქმის ჩაშლილია მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა თბილისის ჰიდრომეტხელსაწყოების ქარხანაში, „სპეცტრესტმექანიზაციაში", ბაკურიანის ანდეზიტის წარმოებაში, მცხეთის ხე-ტყის დამამუშავებელ კომბინატში, თბილისის № 3 წისქვილქარხანაში, „საქქალაქმშენპროექტში" და ბევრ სხვა ორგანიზაციაში.

განსაკუთრებით საწყენია, რომ ასეთივე მდგომარეობაა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივში (სპორტკლუბი „გამარჯვება"), რომელიც ერთ დროს ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ორგანიზაცია იყო რესპუბლიკაში. აქ ჰყავდათ საუკეთესო ველოსიპედისტები, მოცურავეები, მძლეოსნები, ფრენბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები... ახლა კი ფეხბურთის მინდორი გაპარტახებულია, საცურაო აუზში კარგა ხანია წყალი არ ჩასხმულა, ბაზების მოუვლელობამ კი სექციების უმოქმედობა განაპირობა.

უფრო მეტიც: ქარხნის უსაფრთხოების ტექნიკის განყოფილების უფროსმა დ. მხეიძემ ფიზკულტურული მუშაობის ახალი „სისტემა" შემოიღო: საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტები მხოლოდ ფიზკულტურულ პაუზას უნდა ატარებდნენო (!).

ქარხნის ყველა შტატიანი ფიზკულტურული მუშაკი ერთიანი გეგმით უნდა იღვწოდეს. ისინი პასუხსაც ერთნაირად უნდა აგებდნენ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის დონისთვის.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, თბილისში სულხან-საბას ქუჩაზე მდებარე „განთიადის" საჭიდაო დარბაზის ნაცვლად პლეხანოვის პროსპექტზე „განთიადის" ცენტრალური საბჭოს კალათბურთისა და ხელბურთის მოედნებზე სპორტდარბაზი უნდა აეშენებინა მშენებლობის სამინისტროს მე-3 სამშენებლო ტრესტს (მმართველი კ. ჭანჭალეიშვილი). ამ ტრესტის მუშაკები ჯერ კიდევ შარშან შეუდგნენ საქმეს — ხელბურთისა და კალათბურთის მოედნები დაანგრიეს და... წავიდნენ. ამჟამად არც კალათბურთის მოედანი გვაქვს, აღარც ხელბურთისა, მშენებლობა კი ჯერაც არ დაუწყიათ.

გაისად ეწყობა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, სადაც ჩვენი საზოგადოების სპორტსმენებმა ღირსეულად უნდა დაიცვან რესპუბლიკის ინტერესები. ამიტომ ფიზკულტურულმა კოლექტივებმა, მშენებელმა ორგანიზაციებმა მონდომებით უნდა იმუშაონ, რათა სპორტსმენებს წვრთნის ნორმალური პირობები ჰქონდეთ.

**ტ. ქიქნაველიძე,**
„განთიადის" ცენტრალური საბჭოს მასობრივი მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.

## ლენინელთა გამარჯვება

ერთ თვეს მიმდინარეობდა ტყიბულის „განთიადის" საქალაქო სპარტაკიადა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში იყო ჭადრაკი, შაში, ჭიდაობა, ძალოსნობა და მაგიდის ჩოგბურთი.

საერთო გუნდური I ადგილი მოიპოვა ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა (ფიზკულტურის ინსტრუქტორი უ. გოგილიძე), რომელმაც ჭადრაკში, შაშში, ჭიდაობასა და ძალოსნობაში გაიმარჯვა, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში III ადგილი დაიკავა.

გუნდური II ადგილი წილად ხვდა სტალინის სახელობის შახტის ნაკრებს, III — ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივს.

მაგიდის ჩოგბურთში ყველას აჯობეს ორჯონიკიძის სახელობის შახტის წარმომადგენლებმა. პირად პირველობაში იმარჯვეს: თავისუფალ ჭიდაობაში (წონითი კატეგორიების მიხედვით) — ა. ტორონჯაძემ, მ. გურგენიძემ, ა. სალარაძემ, ზ. ლანჩავამ, თ. ბოჭორიშვილმა, ე. კვარტიანმა, ა. ხოლოდკოვმა, ნ. კაპილაძემ, ჯ. კუტივაძემ და ნ. წიქრიძემ; ძალოსნობაში — ზ. გურგენიძემ, თ. ჩაკვეტაძემ, ნ. კაპილაძემ, ა. ხოლოდკოვმა, დ. გოგოლაშვილმა, ბ. ცქიტიშვილმა, ე. მარუაშვილმა და ა. ჯიმშელეიშვილმა.

**ზ. ჯორჯაძე.**
ტყიბული. (ჩვენი კორ.).



თბილისის თამბაქოს № 1 ფაბრიკაში დამთავრდა კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის მომსახურებაში შემავალი ორგანიზაციების შეჯიბრება შაშში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თამბაქოს № 1 ფაბრიკისა და ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივები. გაიმარჯვა თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა (მწვრთნელი — ხარატი გ. ოქრუაშვილი).

სურათზე: შუშის ქარხნის (მარცხნივ) და თამბაქოს ფაბრიკის მოშაშეთა შეხვედრა.

ი. კოტორაშვილის ფოტო.

## ფინიში საფეხბურთო სტადიონზე

პრაღა, 14 მაისი. პლზენის საფეხბურთო სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები გულთბილად მიესალმნენ მშვიდობის ველორბოლის მონაწილეებს, რომელთაც მჭიდრო ჯგუფად მიაღწიეს ფინიშს. მრბოლელებმა დიდ გასაჭირში ჩააგდეს მსაჯთა კოლეგია: 100 სპორტსმენიდან, რომლებმაც მეორე ეტაპი განვლეს, თითქმის ნახევარმა (მათ შორის, საბჭოთა სპორტსმენებმაც) ერთნაირი შედეგი აჩვენა — 3:28.28. ეს ნიშნავს, რომ კარლოვი ვარიდან მრბოლელებმა 148-კილომეტრიანი გზა საშუალოდ საათში 42,6 კმ სიჩქარით დაფარეს. ეს გაცილებით უფრო მაღალი შედეგია, ვიდრე რეკორდი რბოლის სისწრაფეში, რომელიც 1967 წლის ასპარეზობაში გამარჯვებულ ბელგიელ მ. მაესს ეკუთვნოდა (საათში 41,8 კმ).

მეორე ეტაპის შემდეგ ლიდერობას პოლონეთის მრბოლელები ინარჩუნებენ — 26:56.38. მათ ხვდათ ლიდერთა ცისფერი, საუკეთესო ველოსიპედისტის ყვითელი (ზ. ხანუშჩიკს — 6:43.24) და ყველაზე აქტიური მრბოლელის იისფერი (ზ. ჩეხოვსკის — 21 ქულა) მაისურები.

საბჭოთა სპორტსმენები გუნდურ ჩათვლაში IV-VII ადგილებს იყოფენ გდრ-ის, საფრანგეთისა და რუმინეთის გუნდებთან — 26:59.52. II-III ადგილებზე არიან ჩეხოსლოვაკიისა და ბელგიის ველოსიპედისტები — 26:59.37.

პირად ჩათვლაში შვიდივე საბჭოთა სპორტსმენი მრბოლელთა იმ ჯგუფშია, რომლებიც შედეგით 6:44.58 მე-6–52-ე ადგილებს იყოფენ.

პრაღა, 15 მაისი. მესამე ეტაპი — პლზენი — ლაბის უსტი (147 კმ) მოიგო პოლონელმა რ. შურკოვსკიმ, რომელმაც ყველას აჯობა სასტარტო ეტაპზეც. II და III ადგილები დაიკავეს ჩეხოსლოვაკიელებმა ი. პრხალმა და ი. გალამ. პრიზიორთა და იმ შვიდი მრბოლელის შედეგები, რომელთა შორის ომსკელი ვ. სოკოლოვიცაა, ერთნაირი იყო — 3:31.36. მაგრამ პრიზიორებმა, როგორც მუდამ, ახლაც მიიღეს პრემია-შეღავათი თავიანთი შედეგების შესაბამისად: 1 წუთი, 30 წამი და 15 წამი.

სტარტიდან ველოსიპედისტები მჭიდრო ჯგუფად მიდიოდნენ. შემდეგ დაწინაურდა ბელგიელი ვერსტრატენი. მეორე საშუალედო ფინიშის შემდეგ 116-ე კილომეტრზე მან შეძლო 2-წუთიანი სხვაობის შენარჩუნება, მაგრამ გდრ-ის წარმომადგენლებმა პეშელმა და ფოიტლენდერმა, სოკოლოვმა, შურკოვსკიმ და კიდევ რამდენიმე სპორტსმენმა მასზე იერიში მოაწყვეს. ფინიშამდე დაახლოებით 15 კმ რომ დარჩა, ისინი ბელგიელს დაეწივნენ და ერთად გამოჩნდნენ ლაბის უსტში.

ათი მრბოლელის ბრძოლის შედეგი ადგილობრივი სტადიონის მძლეოსნური ბილიკის მკვეთრ მოსახვევებზე ფინიშმა გადაწყვიტა. შურკოვსკიმ ყველას გაუსწრო. ვერსტრატენი მეოთხე იყო, სოკოლოვი — მეხუთე.

მესამე ეტაპის შემდეგ საბჭოთა გუნდი IV ადგილზეა — 41:08.16. იგი ლიდერს — პოლონეთის ნაკრებს 5 წუთითა და 4 წამით ჩამორჩება. II ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის კოლექტივი (41:06.36), III — გდრ-ის გუნდი (41:07.36).

შურკოვსკი მაისურების „კოლექციონერი" გახდა: მას აცვია ლიდერის (10:14.24) ყვითელი მაისური, მარაგში კი აქვს ყველაზე აქტიური მრბოლელის (25 ქულა) იისფერი მაისური და ცისფერი მაისური — გუნდურ ბრძოლაში წარმატებისთვის. II ადგილზეა ხანუშჩიკი — 10:15.40. III-IV ადგილებს იყოფენ პრხალი და გალა (10:16.04).

საბჭოთა ველოსიპედისტები შემდეგ ადგილებზე არიან: 5-11. ვ. სოკოლოვი — 10:16.34; 14-40. ა. გუსიატნიკოვი, ი. დმიტრიევი, რ. კალნენიეკსი, გ. საიდხუჟინი, ი. მიხაილოვი — 10:17.14; 48. ვ. კუხარსკი — 10:17.54

## ორი თბილისელი — ნახევარფინალში

სპიდვეიში მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე წარმატებით მოასპარეზე 14 საბჭოთა მოტოციკლისტი II ტურში — ევროპის კონტინენტური ზონის ნახევარფინალში გავიდა. ავსტრიის ქალაქ გრაცში ყველას აჯობა თბილისელმა ვ. გორდეევმა, ხოლო მისი თანაქალაქელი, ევროპის 1969 წლის ჩემპიონი ვ. კლიმენტიევი მესამე იყო ბრისკში (გდრ) გამართულ შეჯიბრებაში.

ბალაკოვოელმა ბ. ცეხანოვიჩმა II ადგილი დაიკავა ზაგრებში, ხოლო როვნოელმა ვ. ტროფიმოვმა მესამე პრიზი მოიგო უნგრეთის ქალაქ მიშკოლცში.

ნახევარფინალში, რომელიც 6 ივნისს გაიმართება ჩეხოსლოვაკიის ქალაქ სლანიში და 7 ივნისს — ვროცლავში, მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე, ა. კალმიკოვი, ვ. სმირნოვი, გ. ხლინოვსკი, ი. დუბინინი, ა. პავლოვი, ნ. აქსიონოვი, ვ. კონონოვიჩი, ი. ლამბოცკი, გ. კურილენკო და გ. კადიროვი.

ევროპული ზონის ფინალის გამართვა ნავარაუდევია 20 ივლისს ლენინგრადში.

## ქობულეთის მიდამოებში

აჭარის „კოლმეურნის" ველოსიპედისტთა კროსი ქობულეთის მიდამოებში ჩატარდა. პროგრამაში იყო გუნდური და ჯგუფური რბოლები. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ქობულეთის ორმა გუნდმა და ბათუმის რაიონის კოლექტივმა. გუნდურ ჩათვლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს ქობულეთელებმა.

ჯგუფური რბოლა მოიგო სპორტის ოსტატმა ე. მელკოვმა. II ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი ი. ხლისტუნოვი, III — გ. ბადალოვი (სამივე — ქობულეთი).

ბათუმის რაიონის ველოსიპედისტები სუსტად იყვნენ მომზადებული.

**მ. კირაკოსიანი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
ბათუმი.

## ✦ ახმეტა

აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი 1-ლი და სოფ. ქისტაურის საშუალო სკოლების მოსწავლეები. შეჯიბრება გაიმართა ფრენბურთსა და კალათბურთში. ფრენბურთში ქისტაურელებმა გაიმარჯვეს (გოგონებმა — ანგარიშით 2:0, ჭაბუკებმა — 2:1). კალათბურთელ ჭაბუკთა შეხვედრა ახმეტელებმა (50:30) მოიგეს, ხოლო გოგონებისა — ქისტაურის სკოლის წარმომადგენლებმა — 33:25.

• • •

ოსიაურის რვაწლიან სკოლაში დამთავრდა სასკოლო პირველობა ჭადრაკსა და შაშში. ჭადრაკში ჭაბუკთა შორის ყველას აჯობა ე. ნანიშვილმა, ხოლო გოგონებში — მ. გუზაშვილმა. მოშაშეთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ვ. ბაგაურმა.

**გ. ნაცვლიშვილი.**

## ✦ აბაშა

9 კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდები მონაწილეობდნენ „ოქროს თავთავის" რაიონულ თასზე შეჯიბრებაში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქოლობნისა და ძველი აბაშის გუნდები. გამარჯვება წილად ხვდათ ქოლობნელებს — 3:2.

**რ. ჟანტურია.**

## ✦ ჩოხატაური

რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა მოსწავლეთა რაიონული პირველობა ფრენბურთში. ჭაბუკებში გაიმარჯვა სოფ. განახლების გუნდმა. გოგონებში პირველობა არავის დაუთმეს შუა განახლების სპორტსმენებმა.

**დ. გურგენიძე.**

## ✦ თელავი

თავიანთი შაბათობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნეს სოფელ ფშაველის ახალგაზრდებმა. ამ დღეს მათ მოაწყვეს 2 საჭიდაო სარბიელი, ფრენბურთის 2 და ხელბურთის 1 მოედანი, მოაწესრიგეს ფეხბურთის სტადიონი, დაასუფთავეს თავიანთი ყველა სპორტული ბაზა. გარდა ამისა, გაიმართა შეჯიბრებები ჭიდაობაში, ფრენბურთსა და ფეხბურთში.

**ზ. ჯამბაძე.**

# სსრ კავშირის თასზე



## „დინამო“ — 4:2

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 13 მაისი.

„დინამო“ (თბილისი)—„ლოკომოტივი“ (თბილისი) 4:2 (0:1).

„დინამო“: სტეფანია, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე (ჩიტაური), ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, მაჩაიძე, მჭედლიშვილი (ბურჯანაძე), გავაშელი, ლ. ნოდია.

„ლოკომოტივი“: ბერიძე (აკობია), ფრიდმანი, პანოვი, ქელეხიძე, შხვაცაბაია, ბახტაძე, ჯორბენაძე, ჭოლაძე, მაზიაშვილი, ხუციშვილი, ჭელიძე.

მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

სსრ კავშირის თასის წლევანდელი გათამაშება, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს ახლებური წესით: 2-2 მატჩი როგორც მეთექვსმეტედფინალში, ისე მერვედფინალში. ამ სიახლის მოტივი ისაა, რომ რაიმე შემთხვევითობა არ მოხდეს.

საერთოდ, კაცმა შეიძლება იდავოს ამის წინააღმდეგ. რას ჰქვია შემთხვევითობა? თასი იმის თასია, რომ აქ ყველაფერს ერთი მატჩი წყვეტს და მისი სპეციფიკურობაც ის გახლავთ, რომ დაბალი რანგის გუნდს შესაძლებლობა ეძლევა ამ თავისებურ შეჯიბრებაში თავი მოიკლას და ეს ერთი მატჩი მოუგოს ძლიერს. თუ არა და, არსებობს ჩემპიონატი, სადაც შემთხვევითობისა და მოულოდნელობის ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი. ორ-ორჯერ იქ თამაშობენ. თასს სწორედ ის სილამაზე აქვს, რომ გზას უხსნის არა მარტო მეორეხარისხოვან გუნდებს, არამედ გამარჯვების პერსპექტივებს უქმნის ახალბედა ფეხბურთელებს.

მაგრამ, ასეა თუ ისე, წესი წესია (მისი მიხედვით მეთექვსმეტედ და მერვედფინალებში გამარჯვებულთა საკითხს წყვეტს ქულათა ჯამი, ხოლო ქულათა თანაბრობის შემთხვევაში — სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში გაგზავნილ მოთამაშეთა მეტი რაოდენობა) და მისი ძალით თბილისის „დინამოს“ თავისივე ქალაქის „ლოკომოტივთან“ პირველი მატჩის მოგების შემდეგ (1:0) საერთოდ მოგებული ჰქონდა თასის მეთექვსმეტედფინალური ეტაპი. ამიტომ იგი 13 მაისს ფაქტიურად უკვე გამარჯვებული გამოვიდა მინდორზე.

როცა ასეთი მდგომარეობაა, საბრძოლველიც თითქოს არაფერია. „ლოკომოტივისთვის“ წაგება-მოგებას, რა ანგარიშითაც უნდა ყოფილიყო იგი, არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რკინიგზელებმა უინტერესო სპექტაკლის გამართვას ნამდვილი სპორტული ბრძოლა არჩიეს და მატჩიც საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა.

მას შემდეგ, რაც დინამოელებმა თამაშის დასაწყისში ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი (კარგად ითამაშა მეკარე ბერიძემ), „ლოკომოტივმა“ გაათანაბრა მდგომარეობა და მალე პირველ წარმატებასაც მიაღწია: ჯორბენაძემ 27-ე წუთზე შორიდან ძლიერად დაარტყა კარის მაღალ კუთხეში — 1:0.

შესვენების შემდეგ დინამოელები სრული ძალით ამოქმედდნენ და ჯერ პეტრიაშვილმა, ხოლო შემდეგ გავაშელმა დააწინაურეს თავიანთი გუნდი — 2:1.

22-ე წუთზე „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი კონტრშეტევა ზუსტი და ძლიერი დარტყმით დაამთავრა ხუციშვილმა — 2:2.

დარჩენილ დროში უპირატესობა ისევ „დინამოს“ ჰქონდა. პეტრიაშვილისა და გავაშელის გოლების შემდეგ ანგარიში გახდა 4:2.

რ. ქორიძე.

## „ტორპედო“ — 3:0

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 13 მაისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:0 (2:0).

„ტორპედო“: გოგია (გრძელიშვილი), ჩხაიძე (აბზიანიძე), წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ნაჭყებია, ვეკუა, ხერხაძე, ქორიძე.

„ლოკომოტივი“: მილესი, ჟოლტიკოვი, ერმოლევი, გონჩაროვი, კოჩეტოვი, დერგაჩი, შელუდკო, ალიაკბეროვი, ნაპრეევი, ტარამახინი (დავიდოვი), ვასკოვსკი.

მსაჯი მ. მკრტჩიანი (ერევანი).

პირველი მატჩი ქუთაისელებს, როგორც ცნობილია, მოგებული ჰქონდათ „ლოკომოტივის“ მინდორზე (2:1) და, ამდენად, განმეორებით შეხვედრაში მათ ფრეც ყოველმხრივ აძლევდა ხელს. ეს იყო საერთო ამოცანა გუნდის მერვედფინალში გასასვლელად, მაგრამ თვით მატჩის მსვლელობამ ცხადყო, რომ ტორპედოელები გაცილებით უფრო ძლიერად გამოიყურებოდნენ, ვიდრე ეს შეიძლება მოსალოდნელი ყოფილიყო. მასპინძლებმა ისეთი უპირატესობით წარმართეს შეხვედრა, რომ იგი დროდადრო საწვრთნელ თამაშს ჰგავდა და ტორპედოელებს უფლება ჰქონდათ ნერვების დაუძაბავად, თავისუფლად ემოქმედათ საბოლოო მიზნის მისაღწევად.

ჯერ კიდევ მე-6 წუთზე მილესმა გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე ხერხაძის ძლიერად დარტყმული ბურთი. გავიდა ცოტა ხანი, მილესმა წინდაუხედავად დატოვა თავისი კარი და ქორიძემ თავით გაგზავნა ბურთი მისი „სამფლობელოსკენ“. ერთ-ერთმა მცველმა ბოლო მომენტში შეძლო მდგომარეობის ხსნა. მე-19 წუთზე მილესმა ზედიზედ ორჯერ აიღო ბურთი ხერხაძისა და ვეკუასგან.

აი, არასრული ჩამოთვლა იმ საგოლე მომენტებისა, რომლებიც შეიქმნა მოსკოველთა კართან 27-ე წუთამდე. ამ წუთს აღვნიშნავთ იმიტომ, რომ ჩხაიძემ შორიდან გადასცა ბურთი ხერხაძეს და ამ უკანასკნელმა ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

ტაიმის ბოლო წუთებზე ხერხაძემ თვალი მოკრა კარგ პოზიციაში გასულ ვეკუას და მისკენ გაგზავნა ბურთი. ამავე დროს ვეკუასკენ დაიძრა მილესიც. ფორვარდმა დაასწრო მეკარეს, თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი და ანგარიში გახდა 2:0.

შესვენების შემდეგ ქუთაისელთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა და რკინიგზელები ხშირად უძლურად გამოიყურებოდნენ თავიანთი მეტოქის წინაშე. ერთადერთი შესაძლებლობა ანგარიშში სხვაობის შემცირებისა „ლოკომოტივს“ მიეცა მაშინ, როცა შელუდკო გრძელიშვილის პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა და მოიგერია ბურთი.

მატჩის ანგარიში გასამდა 62-ე წუთზე ვეკუასა და ხერხაძის ზუსტი კომბინაციის შემდეგ.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).



## განმეორებითი მატჩები

მოგვყავს სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალის განმეორებითი მატჩების ტექნიკური შედეგები (ფრჩხილებში აღნიშნულია პირველ შეხვედრათა ანგარიშები):

„დინამო“ (კიევი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:1 (2:1), ცსკა—„ნეფტიანიკი“ (ფერგანა) 3:0 (3:0), „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ლუჩი“ (ვლადივოსტოკი) 1:1 (2:0), „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „დინამო“ (მინსკი) 0:0 (0:1), „არარატი“ (ერევანი) — „პამირი“ (დუშანბე) 3:1 (2:3), „ავანგარდი“ (ტერნოპოლი)—ასკ (დონის როსტოვი) 2:0 (0:1), „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:1 (2:2), „შახტიორი“ (დონეცკი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:1 (1:1), „ნევთჩი“ (ბაქო) — „ყაირათი“ (ალმა-ათა) 2:1 (0:0), „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „მეტალურგი“ (ტულა) 3:1 (0:0), „ზარია“ (ვოროშილოვგრადი)—„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0 (2:1), „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 3:1 (1:1), „ავტომობილისტი“ (ჟიტომირი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:1 (0:0).

„ჩერნომორეცისა“ და ლიპეცკის „მეტალურგის“ შეხვედრაში ოდესელებს გამარჯვება მიენიჭათ იმის გამო, რომ მათ სსრ კავშირის ნაკრებში ჰყავთ ერთი მოთამაშე (პორკუიანი).

შედგა მერვედფინალის წყვილთა ცხრილი. მათი შეხვედრები გაიმართება 28 მაისს და 1 ივნისს.

## სსრ კავშირის პირველობა

### I ჯგუფი

13 მაისს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 0:1, „ალგა“ (ფრუნზე)—„რუბინი“ (ყაზანი) 1:0, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დაუგავა“ (რიგა) 2:0, „კარპატი“ (ლვოვი)—ასკ (კიევი) 1:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 1:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — ასკ (ხაბაროვსკი) 0:0.

გუნდები, რომლებიც დაკავებული იყვნენ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, 13 მაისის ნაცვლად ითამაშებენ 25 მაისს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 7 | 6 | 1 | 0 | 11—0 | 13 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 7 | 5 | 2 | 0 | 8—1 | 12 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 6 | 4 | 1 | 1 | 11—4 | 9 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 6 | 2 | 4 | 0 | 7—3 | 8 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 7 | 3 | 2 | 2 | 9—7 | 8 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 6 | 3 | 2 | 1 | 7—5 | 8 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 7 | 3 | 2 | 2 | 6—6 | 8 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 7 | 3 | 2 | 2 | 4—7 | 8 |
| ასკ (კიევი) | 7 | 3 | 1 | 3 | 10—6 | 7 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 7 | 2 | 3 | 2 | 4—2 | 7 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 6 | 2 | 3 | 1 | 3—2 | 7 |
| „ყაირათი“ (ალმა-ათა) | 6 | 2 | 2 | 2 | 8—7 | 6 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 7 | 2 | 2 | 3 | 5—6 | 6 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 7 | 1 | 4 | 2 | 6—8 | 6 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 7 | 2 | 2 | 3 | 4—6 | 6 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 6 | 2 | 1 | 3 | 4—6 | 5 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 6 | 1 | 2 | 3 | 8—8 | 4 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 6 | 1 | 2 | 3 | 4—6 | 4 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 7 | 1 | 2 | 4 | 3—10 | 4 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 6 | 1 | 2 | 3 | 5—13 | 4 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 6 | 0 | 3 | 3 | 1—5 | 3 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 7 | 0 | 1 | 6 | 2—12 | 1 |

## მეორე ზონაში

### II ჯგუფი

13 მაისს ბათუმში ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს კალუგის „ლოკომოტივი“.

84-ე წუთზე კალუგელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ისტრებოვმა გაიტანა გოლი, რომელმაც სტუმრებს გამარჯვება მოუტანა — 1:0.

## „გ“ კლასი

14 მაისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ შემდეგი ქალაქებიდან:

### რუსთავი

რუსთაველ მეტალურგებს ძლიერი მეტოქე ჰყავდათ რიაზანის „სპარტაკის“ სახით. ძლიერს ვამბობთ იმიტომ, რომ I ტურში რიაზანელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს გურჯაანის „ალაზანი“ მისივე მინდორზე — 5:2.

ამიტომ მასპინძლებმა თავიდანვე ძლიერი შეტევებით დაიწყეს თამაში და ზედიზედ 4 კუთხური მოაწოდეს მეტოქის კართან. მართალია, სახიფათო მომენტები სტუმრებმაც შექმნეს, კერძოდ, მე-16 წუთზე ნარსიას ძნელი ბურთის აღება მოუხდა, მაგრამ ინიციატივას მაინც „მეტალურგი“ ფლობდა. გუნდი ტაიმის ბოლომდე ენერგიულად უტევდა და სპარტაკელთა მეკარე სამორუკოვს ხშირად უხდებოდა თამაშში ჩაბმა.

ასევე იყო შესვენების შემდეგ. 77-ე წუთზე გაბრიჭიძემ მინდვრის სიღრმიდან გადააწოდა ბურთი ფედიაევის მიმართულებით, მაგრამ ბურთმა ადრესატს ვერ მიაღწია — იგი საჯარიმო მოედანზე ხელით დაიჭირა სტუმრების მცველმა ფედოტოვმა. ბახტაძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი და რუსთაველებმა გაიმარჯვეს — 1:0.

რ. გაბრიჭიძე.

### ლანჩხუთი

საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ადგილობრივი „გურიისა“ და კრასნი სულინის „მეტალურგის“ შეხვედრა. თამაში თავიდანვე მაღალ ტემპში, ორმხრივი იერიშებით დაიწყო, თუმცა უპირატესობა მაინც „გურიას“ ჰქონდა. განსაკუთრებით კარგად ითამაშეს „მეტალურგის“ მცველებმა.

მატჩის ბედი გადაწყვიტა პენალტმა. სტუმრების ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავისი კარის სიახლოვეს, მსაჯმა დანიშნა პენალტი და ძიძიგურმა ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში — 1:0.

ა. წილოსანი.

### ფოთი

გათამაშების II ტურში ფოთის „კოლხეთმა“ მიიღო ბელაია კალიტვის „ორბიტა“.

მრავლისმეტყველი იყო მატჩის დასაწყისი: ჯერ მხოლოდ მე-3 წუთი მიმდინარეობდა, როცა „კოლხეთის“ თავდამსხმელი ალმასია სწრაფად გავიდა წინ და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. არ გასულა ხუთიოდე წუთი და მასპინძელთა დაცვაში დაშვებულ იქნა უხეში შეცდომა. იგი კარგად გამოიყენა ივანოვმა — 1:1.

მიუხედავად მასპინძელთა მრავალი ცდისა, ანგარიში თამაშის ბოლომდე არ შეცვლილა.

ზ. ბასილაია.

## 20

◆ კაპფენბერგი (ავსტრია), 15 მაისი. ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა გუნდურ ჩემპიონატში კიდევ 3 ტური გაიმართა. III ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 7:3 დაამარცხა ბულგარეთის გუნდი, ხოლო IV — დანიელები —9,5:0,5. სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის (II ტური) საბოლოო შედეგია 6,5:3,5. V ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები ესპანელებს შეხვდნენ. ჯერჯერობით ანგარიშია 4,5:1,5 (4 პარტია გადაიდო) საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. იგი ლიდერობას ინარჩუნებს — 34,5 ქულა 46-დან. II ადგილზეა იუგოსლავიის ნაკრები, რომელსაც 27,5 ქულა აქვს და ასევე 4 გადადებული პარტია.

## გათამაშების ცხრილები

II ჯგუფი

მდგომარეობა 14 მაისისთვის

### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მევენახე“ (ვაზისუბანი) | 6 | 4 | 1 | 1 | 18—10 | 9 |
| „მერეთი“ (ლაგოდეხი) | 6 | 3 | 3 | 0 | 15—9 | 9 |
| „სპარტაკი“ (რუსთავი) | 6 | 4 | 1 | 1 | 11—9 | 9 |
| „გარეჯი“ (საგარეჯო) | 5 | 4 | 0 | 1 | 17—6 | 8 |
| „მშენებელი“ (წალკა) | 6 | 3 | 2 | 1 | 11—7 | 8 |
| „შევარდენი“ (თბილისი) | 5 | 3 | 1 | 1 | 10—7 | 7 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 5 | 3 | 0 | 2 | 9—6 | 6 |
| „ვარძია“ (ასპინძა) | 5 | 3 | 0 | 2 | 8—6 | 6 |
| „მევენახე“ (ბოლნისი) | 6 | 1 | 3 | 2 | 11—12 | 5 |
| „შირაქი“ (წითელი წყარო) | 6 | 2 | 1 | 3 | 8—10 | 5 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 5 | 1 | 1 | 3 | 6—9 | 3 |
| „ბარისი“ (თეთრი წყარო) | 6 | 1 | 1 | 4 | 6—12 | 3 |
| „აბული“ (ახალქალაქი) | 5 | 1 | 1 | 3 | 3—9 | 3 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 6 | 0 | 2 | 4 | 5—9 | 2 |
| „არაგვი“ (მცხეთა) | 6 | 0 | 1 | 5 | 3—22 | 1 |

## საქართველოს ჩემპიონატი

### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჭოროხი“ (ბათუმი) | 5 | 4 | 0 | 1 | 10—3 | 8 |
| „კოლმეურნე“ (ჩოხატაური) | 5 | 3 | 2 | 0 | 6—3 | 8 |
| „განთიადი“ (აბაშა) | 6 | 3 | 1 | 2 | 6—5 | 7 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 5 | 2 | 2 | 1 | 4—2 | 6 |
| „კოლმეურნე“ (ქედა) | 4 | 2 | 1 | 1 | 4—1 | 5 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 4 | 2 | 1 | 1 | 5—4 | 5 |
| „დინამო“ (ქუთაისი) | 4 | 2 | 1 | 1 | 2—1 | 5 |
| „საირმე“ (მაიაკოვსკი) | 5 | 2 | 1 | 2 | 4—5 | 5 |
| „განახლება“ (ადიგენი) | 5 | 2 | 1 | 2 | 4—5 | 5 |
| „ივერია“ (ხაშური) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—2 | 4 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 5 | 1 | 1 | 3 | 3—4 | 3 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 5 | 1 | 1 | 3 | 6—9 | 3 |
| „მერცხალი“ (ზესტაფონი) | 3 | 0 | 0 | 3 | 0—6 | 0 |
| „მექანიკოსი“ (სამტრედია) | 4 | 0 | 0 | 4 | 2—9 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 483 კილომეტრი ცურვით

ოტავა, 15 მაისი. 49 წლის კანადელმა ლუი ლურმიმ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი სტარტი აიღო. მან სპეციალური რეზინის კოსტუმი ჩაიცვა და მდინარე ოტავაზე 300-მილიან (ეს 483 კმ-ს უდრის) გზას დაადგა.

ლურმეს განზრახული აქვს ეს მანძილი შეუსვენებელი ცურვით 100 საათში დაფაროს. კანადელ სპორტსმენს უკვე აქვს სინასა და რაინზე ასეთი „მოგზაურობის" გამოცდილება. ლურმეს ქვალდაკვალ მიჰყვება ნავი თანაშემწეებით და... ცხელი კერძებით, რომელთაც იგი წყლიდან ამოუსვლელად გიახლებათ.

● ●

# კირისკირ ატლანტის ოკეანესთან

ვარშავა, 15 მაისი. პოლონეთის საიახტო კლუბმა გადაწყვიტა გამოიყვანოს ნავი ერთ-ერთ ყველაზე რომანტიკულ შეჯიბრებაში—ერთეულ აფროსანთა ტრანსატლანტიკურ რბოლაში. ეს შეჯიბრება ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. ამჟამინდელმა ორგანიზატორმა — ინგლისის სამეფო საიახტო კლუბმა უკვე გამოაცხადა წინასწარი განაცხადების მიღება.

პოლონეთის ღირსების დაცვის უფლებისთვის ბევრი სპორტსმენი იბრძვის. მათ შორისაა კარგად ცნობილი აფროსანი ლ. ტელიგა, რომელმაც თავისი აფრიანი ნავით „ოპტით" უკვე იმოგზაურა დედამიწის ირგვლივ.

წლეულს 15 საუკეთესო პოლონელი აფროსანი (მათ შორის, ერთი ქალი) გაივლის სამედიცინო შემოწმებას და სპეციალურად მოემზადება. ნავის ბეგზაზე პრეტენზიას აცხადებენ შჩეცინი და გდანსკი.

● ●

# საჰაერო ბურთების ტურნირი

დელფტი (ჰოლანდია), 15 მაისი. 32 წლის ინგლისელმა ნ. ზრაიტონმა მოიგო 25-ე საერთაშორისო ასპარეზობა საჰაერო ბურთებით. ზუსტად დაშვების ოსტატობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 9 ქვეყნის წარმომადგენლები.

სარბიელზე გამოვიდნენ ამ სახეობის „პიონერებიც", კერძოდ, 76 წლის ფრანგი შ. დოლფუსი და 71 წლის შვეიცარიელი ფ. დოლდერი.

სასპარეზოდ გამოიტანეს ის ბურთიც, რომელიც გადაღებულია ფილმში „დედამიწის ირგვლივ 80 დღეში".

# 16 ფინალისტის საქმენი



ბოგოტა, 14 მაისი. მეხიკოსკენ გზად საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა პირველი ამხანაგური მატჩი კოლუმბიის ჩემპიონთან „მილიონარიოსთან" ფრედ (0:0) დაამთავრა. მატჩის მიწურულს რუდაკოვი მეტოქის ერთ-ერთ მოთამაშეს შეეჯახა და დაშავდა. საბჭოთა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: რუდაკოვი (კავაზაშვილი), ძოძუაშვილი, შესტერნიოვი (აფონინი), კაპლიჩნი, ლოვჩევი, კისელიოვი, მუნტიანი, ასათიანი, ნოდია, ხმელნიცკი (პუზაჩი), ევრიუჟიხინი.

იმავე დღეს აქ ურუგვაის ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა კოლუმბიის „სანტა ფე". ეს ერთადერთი ბურთი 35-ე წუთზე გაიტანა ესპარაგომ.

სოფია, 14 მაისი. მექსიკაში გამგზავრების წინადღით (ეს კი 15 მაისს მოხდება) ბულგარეთის ნაკრებმა ორი საერთაშორისო მატჩი გამართა. დღისით პირველმა შემადგენლობამ დამაჯერებელი ანგარიშით — 4:0 (2:0) სძლია ბელგრადის „პარტიზანს". ორი გოლი გაიტანა დერმენჯიევმა, ხოლო თითო — ბონევმა და ჟეკოვმა. საღამოს მეორე შემადგენლობამ მოუგო იტალიის „ბრეშიას" — 1:0. ბურთი მე-18 წუთზე გაიტანა ასპარუხოვმა.

ოსლო, 14 მაისი. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა აქ ანგარიშით 2:0 დაამარცხა ნორვეგიის ეროვნული გუნდი. ანგარიში მე-7 წუთზე გახსნა კუნამ, მეორე გოლი კი ხორვატმა გაიტანა.

ჰანოვერი, 14 მაისი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების აქ გამართულმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. ბურთი მე-10 წუთზე გაიტანა გფრ-ის ნაკრების ვეტერანმა ზეელერმა.

ლიონი, 14 მაისი. მექსიკის ამ ქალაქში პერუს ნაკრებმა შეხვედრა მოუგო ადგილობრივ გუნდს — 2:1 (1:0).

მეხიკო, 14 მაისი. მექსიკის ნაკრებმა დიდი ანგარიშით — 6:0 (2:0) დაამარცხა შოტლანდიის „დანდი იუნაიტედი". ბურთები გაიტანეს: ვალდივიამ (2), ონოფრემ, პულიდომ და ფრაგოსომ. მეექვსე ბურთი საკუთარ კარში მოათავსა შოტლანდიელმა მარლკენდმა.

# ავტორიტეტული აზრით...

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებისთვის 70 ქვეყნის ფეხბურთელთა გუნდები იბრძოდნენ. ახლა მათგან მხოლოდ 16 შერჩა. IX ჩემპიონატის ფინალი სტარტს აიღებს მეხიკოში 31 მაისს სსრ კავშირისა და მექსიკის ნაკრები გუნდების მატჩით. საფეხბურთო ფორუმის წინ საკდესის კორესპონდენტებმა ფინალისტი გუნდების მწვრთნელებს ტრადიციისამებრ 3 შეკითხვა მისცეს:

1. რომელ გუნდებს აქვთ პრიზიორთა შორის მოხვედრის მეტი შანსი და რატომ? 2. როგორია თქვენი გუნდის პროგრამა-მინიმუმი და მაქსიმუმი? 3. რა ახალი თვისებები შეიძინა მსოფლიო ფეხბურთმა 1966 წლის შემდეგ?

„მთავარი სტრატეგების" აზრით, პრიზიორთა სამეულში მოხვედრის ყველაზე მეტი შანსი ბრაზილიის, ინგლისის და გფრ-ის გუნდებს აქვთ. ამ გუნდებს მწვრთნელებმა მისცეს შესაბამისად 14, 12 და 11 ხმა. ფავორიტებთან ყველაზე ახლოს დგანან სსრ კავშირისა და იტალიის ნაკრები გუნდები. გუნდების თითქმის ყველა მწვრთნელი ამბობს, რომ მათი პროგრამა-მაქსიმუმი ნახევარფინალში გასვლაა. მხოლოდ რ. კარდენასი (მექსიკა) და მ. ზაგალო (ბრაზილია) არ შეშინდნენ და თავიანთი გუნდები მომავალ ჩემპიონებად დაასახელეს.

ბევრ მწვრთნელს მიაჩნია, რომ ჩემპიონატში დიდ როლს ითამაშებს მოულოდნელობის ფაქტორი. მაგალითად, ფ. ვალკარეჯი (იტალია) ამბობს, რომ გამარჯვება ყველას შეუძლია.

მაგრამ არის ობიექტური ფაქტორები, რომლებსაც მწვრთნელებმა უეჭველად უნდა გაუწიონ ანგარიში. ესაა მექსიკის სიმაღლე და კლიმატი. ამიტომ ო. ბერგმარკი (შვეცია) ამტკიცებს, რომ ახალი მსოფლიო ჩემპიონი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ერთ-ერთი გუნდი იქნება. მაგრამ იგი ევროპელთა ძალასაც სათანადოდ აფასებს: „ფინალში ბრაზილიელების წინააღმდეგ საბჭოთა ფეხბურთელები ითამაშებენ."

სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა პასუხები მესამე შეკითხვაზე. ზოგ მწვრთნელს განვლილი ოთხი წელიწადი მსოფლიო ფეხბურთში რეგრესის პერიოდად მიაჩნია და დაცვითი პოზიციების გაძლიერებას აღნიშნავს. ა. რამსეი (ინგლისი) კი საწინააღმდეგო აზრისაა: „ფეხბურთი წლიდან წლამდე უმჯობესდება". ამასვე ამტკიცებს გ. კაჩალინი (სსრ კავშირი): „მსოფლიო ფეხბურთი ბოლო ოთხი წლის მანძილზე განვითარდა. სასიამოვნოა, რომ თანდათან იმარჯვებს შეტევითი სტილი".

ასეთი დიდი სპეციალისტების ყველა პროგნოზი, რა თქმა უნდა, საყურადღებოა, მაგრამ ეს მაინც მხოლოდ წინასწარმეტყველებაა...

## ინგლისის ნაკრების „საბრძოლო შემადგენლობა"

მეხიკო, 15 მაისი. 8 თვის ბულდოგი უინსტონი, რომელმაც ინგლისის გუნდის „თილისმა" — პოპულარული სათამაშო ლომის ბოკვერი ვილი შეცვალა, მეხიკოში ჩამოვიდა.

ამ შეხვედრას ესწრებოდა ფეხბურთის ასამდე გულშემატკივარი, ძაღლების მოყვარული, ჟურნალისტი, აეროპორტის მსახური, ინგლისის საელჩოს თანამშრომელი. ღია წაბლისფერმა, თეთრლაქებიანმა ბულდოგმა მხიარული ყეფით აუწყა შეკრებილთ, რომ 12-საათიანი საჰაერო მგზავრობა ლონდონიდან მშვიდობით დასრულდა. ჯერჯერობით უინსტონი ინგლისის საელჩოში იცხოვრებს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი გვადალახარას გაემგზავრება ინგლისელ ფეხბურთელებთან ერთად.

# ელექტრული... ფეხბურთი

მსოფლიოს თითქმის ყველა გაზეთი ახლა დიდ ადგილს უთმობს პროგნოზებს ფეხბურთელთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

ინგლისის ელექტრულ მანქანებს ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ მათი თანამემამულენი ოქროს ქალღმერთს ისევ „ნისლიანი ალბიონის" კუნძულებზე ჩაიტანენ.

მარჩიელის უძველესი პროფესიის მოდერნიზება გადაწყვიტა ყოველკვირეულმა „ობსერვერმა", რომელმაც „ელიოტის" ფირმის ელექტრულ-გამომთვლელი მანქანა დაიხმარა. მანქანაში ჩადეს ინფორმაციები მომავალ ჩემპიონატზე, შესარჩევი თამაშებისა და ფინალისტთა ბოლო ამხანაგური შეხვედრების შედეგები, აგრეთვე, მონაცემები ცალკეული გუნდების მოთამაშეებზე. მეოთხედფინალში მანქანამ გაიყვანა სსრ კავშირის, მექსიკის, შვეციის, იტალიის, ინგლისის, ბრაზილიის, ბულგარეთისა და პერუს ნაკრები გუნდები.

მართალია, იგი ამტკიცებს, რომ შემდეგ ეტაპზე სსრ კავშირის ნაკრებს მარცხი ელის: იგი შვეციის გუნდთან წააგებს. ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისისა და ბრაზილიის გუნდები. ინგლისელები დამატებით დროში გამოგლეჯენ მეტოქეს გამარჯვებას — 3:2.

„უსულო" მანქანასთან დავაში ჩაება ცნობილი პორტუგალიელი თავდამსხმელი ეუსებიო. მან განაცხადა, რომ ოქროს ქალღმერთზე პრეტენზიას განაცხადებენ, პირველ ყოვლისა, ინგლისის, ბრაზილიის, სსრ კავშირის, იტალიისა და გფრ-ის გუნდები. გამარჯვება ყოველმა მათგანმა შეიძლება მოიპოვოს, მაგრამ უპირატესობას ეუსებიო მაინც ბრაზილიას ანიჭებს.

ამავე დროს, გამომთვლელმა მანქანამ მეხიკოში იწინასწარმეტყველა, რომ ბრაზილიელებისა და ინგლისელების მატჩი ქვეჯგუფში დამთავრდება ანგარიშით 3:3. მანქანის „სცენარის" მიხედვით, პირველი ბურთი უნდა გაიტანოს ბ. ჩარლტონმა, ანგარიში კი ტოსტაომ უნდა გაქვითოს. პირველ ტაიმში მსოფლიო ჩემპიონები იქნებიან წინ. გოლს გაიტანს ჰანტი. მეორე ტაიმში ლი ანგარიშს გაზრდის — 3:1, შეხვედრის ბოლო წუთზე კი ჯაირზინიო და რიველინო ორ ბურთს გაიტანენ ბენქსის კარში.

ერთი სიტყვით, ობიექტური მანქანები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა პასუხს იძლევიან ერთსა და იმავე ამოცანაზე. სხვათა შორის, მექსიკის მანქანა მსოფლიო ჩემპიონებს — ინგლისელებს მეოთხედფინალის საგზურსაც კი არ უწინასწარმეტყველებს.

პერუს ნაკრების ვარსკვლავმა რ. ჩალემ თქვა, რომ ფინალში ვერც ინგლისელები მოხვდებიან, ვერც ბრაზილიელები. მისი აზრით, ჩემპიონატის მთავარი მატჩის მონაწილენი იქნებიან... პერუელები და იტალიელები.

შვეციის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ინსტიტუტმა თავისი მუშაობის შედეგები შესთავაზა გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერს". გამოკითხვის შედეგებით, შვედების უმეტესობას მიაჩნია, რომ ნახევარფინალში გავლენ ბრაზილიის, ინგლისის, შვეციის, სსრ კავშირის გუნდები. მსოფლიო ჩემპიონი გახდება ბრაზილიის ნაკრები. ვერცხლის მედალს მიიღებს ინგლისი, III ადგილზე კი საბჭოთა კავშირი გავა.

...რა მოხდება სინამდვილეში?

(საკდესი).

# ჯომოლუნგმა ადამიანზე დაბალია

კატმანდუ (ნეპალი), 14 მაისი. იაპონია მეხუთე ქვეყანა გახდა, რომლის მთამსვლელებმაც დედამიწის უმაღლეს მწვერვალს ჯომოლუნგმას (8848 მ) მიაღწიეს. ესენი არიან 35 წლის ტერუო მატსურა და 28 წლის ნაომი უემურა.

მთამსვლელებმა მწვერვალი ტრადიციული მარშრუტით — სამხრეთის ფერდობით დაიპყრეს. უწინ სწორედ ამ გზით ავიდნენ ჯომოლუნგმაზე ინგლისის, შვეიცარიის, ამერიკისა და ინდოეთის ექსპედიციები.

კატმანდუ, 15 მაისი. ჯომოლუნგმას იაპონელ მთამსვლელთა კიდევ ერთმა ჯგუფმა შეუტია. 12 მაისს სამხრეთის ფერდობით მწვერვალს 36 წლის კაცუტოში ხირაბაიასიმ და ნამჩებაზრელმა შერპამ შოტარემ მიაღწიეს.

ამრიგად, ამ უმაღლესი მთის დამპყრობთა სიაში ახლა 24 სპორტსმენია.

ამ დღეებში იაპონელები ჯომოლუნგმაზე მესამე ექსპედიციის გაგზავნას აპირებენ.

# [illegible]

● ნალჩიკი, 13 მაისი. ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტის სტუდენტმა, სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, 22 წლის ვ. სილიახინმა ყველას აჯობა თანამედროვე ხუთჭიდში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში — 5254 ქულა. იგი უძლიერესი იყო ფარიკაობასა და სროლაში — 42 მიზანზე ჩამოიტოვა. II ადგილი დაიკავა პირადი შეჯიბრების მონაწილემ ვ. სვატენკომ (ყაზახეთი) — 5243 ქულა. ორივე ხუთჭიდელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. III ადგილზეა ვ. დრიუკოვი (უკრაინა) — 4993. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს უკრაინის წარმომადგენლებმა. II ადგილი დაიკავა რსფსრ-ს კოლექტივმა, III — სომხეთის ნაკრებმა.

● კალუგა, 14 მაისი. აკრობატიკის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარემ, მფრინავმა-კოსმონავტმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ვოლკოვმა ადგილობრივი ახალი სპორტსკოლის „იუნოსტის" დიდ დარბაზში დღეს საზეიმო ვითარებაში გახსნა აკრობატთა საკავშირო ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 250-მდე სპორტსმენი. მოასპარეზენი ოთხი დღის განმავლობაში ერთმანეთს შეეცილებიან ოქროს მედლებს ხტომებში, წყვილთა და ჯგუფურ ვარჯიშებში, ბატუტზე შეჯიბრებაში.

● რომი, 14 მაისი. წყალბურთში ევროპის ჩემპიონმა — სსრ კავშირის ნაკრებმა გენუაში და მილანში რამდენიმე შეხვედრა გამართა იტალიის ეროვნულ გუნდთან. პირველი მატჩი ფრედ (4:4) დამთავრდა. მეორე — მასპინძლებმა მოიგეს (5:4), დანარჩენი ორი კი საბჭოთა წყალბურთელებმა — 7:4 და 9:7.

● სტოკჰოლმი, 14 მაისი. მაგიდის ჩოგბურთში ევროპის თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში ბუდაპეშტის „სპარტაკუსმა" აქ ანგარიშით 5:4 დაამარცხა შვეციის „მარიენშტადი". გამარჯვებულებს გადამწყვეტი ქულა შესძინა იშტვან იონერმა, რომელმაც მოუგო ევროპის ჩემპიონს ქ. ალსერს — 21:13, 21:17. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა უნგრეთის დედაქალაქში გაიმართება. საბჭოთა სპორტსმენები თასის ამ გათამაშებაში არ მონაწილეობენ.

● დე-მოინი, 14 მაისი. აქ ჩატარდა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. 440 იარდზე თარჯრბენში რ. მანმა აშშ-ს ახალი რეკორდი (49,4) დაამყარა, რაც ძველ მიღწევას 0,2 წამით სჯობს და 0,1 წამით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდს. 3 მილზე რბენაში იმარჯვა 2-მეტრიანმა სტაიერმა ჯ. ბეჩელორმა — 13.13,4. ბადროს ტყორცნა მოიგო დ. ნოპმა — 62,13 მ.

● ჰიუსტონი, 14 მაისი. 100 იარდზე რბენაში აქ კვლავ სცადა ძალა ჯ. მაკჯიმ, რომელმაც ამას წინათ ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდი (9,1) გაიმეორა. ამჯერად მან იგივე შედეგი კიდევ ორჯერ აჩვენა.

● ბერლინი, 14 მაისი. ქ. ბომბაკმა პატარა ზურგქარის დახმარებით 100 მეტრი 10,1 წამში გაირბინა. კ. შპილბერგმა ბადრო 55,60 მეტრზე ტყორცნა.

● რომი, 14 მაისი. იტალიელმა მძლეოსნებმა აქ გამართულ შეჯიბრებაში ქვეყნის 3 რეკორდი გააუმჯობესეს. უროს ტყორცნაში რეკორდსმენი გახდა მ. ვეკიატო — 65.44 მ, ხოლო უ. რიზი ორ რეკორდს დაეუფლა: საათიან რბენაში 19 კმ 627 მ აჩვენა, 20 კილომეტრი კი 1 საათში, 1 წუთსა და 4 წამში დაფარა.

● მაგდებურგი, 14 მაისი. 23 წლის მ. ჰერბსტმა ხუთჭიდში გდრ-ის ახალი რეკორდი (4989 ქულა) დაამყარა, რაც ძველ მიღწევას 155 ქულით სჯობს. ჰერბსტის ეს მაჩვენებელი მეოთხე შედეგია ამ სახეობის ისტორიაში.

● ბუდაპეშტი, 14 მაისი. უნგრეთის მოცურავეთა ღია აუზში გამართულ შეჯიბრებაში 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ი. ტუროციმ კარგი დრო (1.01,8) აჩვენა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული [illegible]

რაგბი. „ლოკომოტივის" სტადიონი. საქართველოს პირველობა. დღეს: „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 17 მაისი. „ისნის" სტადიონი. „ისანი" (თბილისი) — „ბახმარო" (ჩოხატაური). დასაწყისი 17 ს., 30 წ. „სინათლის" სტადიონი. „სინათლე" (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04269